



წიგნი გამოიცა ქინძათის
საჯარო სკოლის ქართული
ენისა და ლიტერატურის
ჰედვიგობის ელოკო
ქართველობილის ფინანსური
მხარდაჭერით.

2020 წარ

დაიჩინება. პოდიში მოუხადა ყველას. გაიქცა. მოიტანა უამრავი ნერგი ლამაზი ყვავილისა. დარგო. ყველა მიღიოდა მათთან, უვლიდა, რწყავდა, ეალერსებოდა, კოცნიდა.

მარიამ გელაშვილი

მუხა

უღრან ტყეში იდგა ერთი ბებერი მუხა. მის გარშემო ყვავილები ყვაოდნენ. ნაძვებზე ჩიტები ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. ამ მუხაზე მარტო კოდალა თუ დაჯდებოდა ხოლმე.

ერთ დღეს ძლიერი ქარი ამოვარდა. ხეებს ტოტებს ამტვრევდა. ცხოველები და ფრინველები თავის სახლებში შეყუულიყვნენ. ყვავილები კოკრებში დაიმალნენ. მუხის ფულურობში კი მიწა ცვიოდა.

მოვიდა მეორე გაზაფხული. აყვავდნენ ყვავილები. ჩიტები ისევ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. უცრად მუხამ შეიხედა თავის ფულურობში, დაინახა, ია ამოსულიყო. მუხა სიხარულისაგან ატირდა. აღარ იყო დალონებული, იგი იასთან ერთად ყვაოდა.

ლიზი გელაშვილი

პატარა სოკო

– გუშინ იწვიმა, სოკო ამოვიდოდა, მოდი, ნავიდეთ ტყეში.
– რა კარგია, ნავიდეთ, – დაეთანხმა ნინიკო მარის.

გოგონებმა მთელი ტყე მოირბინეს, მაგრამ ფოთლების ქვეშ საიმედოდ დამალულიყვნენ და თვლემდნენ.

– დავბრუნდეთ სახლში, მალე დაბინდდება, არ დაგვაგვიანდეს, მშობლებიც ინერვიულებენ, – თქვა ნინომ.

– სახლში სირცევილით როგორ მივიდეთ ცარიელი კალათით? – დალონდა მარი.

უცრად გოგონებმა ხის ქვეშ შეამჩნიეს ციცქა სოკო. ფოთლებს ვეღარ მოესწროთ მისი დამალვა თავიანთი ფრთის ქვეშ.

– ეს ერთი ციდა სოკო ვის ეყოფა? იყოს, გაიხაროს, – თქვა გულდანყვეტით მარიმ. ნინიც დაეთანხმა. ხელმოცარულმა გოგონებმა მოკურცხდეს შინისაკენ.

მაგდა დაბრუნდაშვილი

ია

გაზაფხულდა.

იამ მორცხვად ააფახულა ნაზი წამნამები. სულიერმა თუ უსულო არსებამ თვალი ვერ მოსწყვიტა ბუჩქებში მიმალულულ, პანაწინა, სურნელოვან ყვავილს. ყველა შესციცინებდა უფაქიზეს. მთელი ტყე ცხოვრობდა დიდ, მეგობრულ ოჯახად.

ერთ დღეს გამოჩნდა ცელქი, მოუსვენარი გოგონა, რომელიც მხიარულად დარბოდა, ბალახებს წინ კიდა, ყვავილებს თავებს აცლიდა, ხის ტოტებს – ყვავილებს. იაც ამოგლიჯა, ნაკუნებად აქცია, გადაყარა.

საბრალო ია მწარედ აქვითინდა.

შეწყდა ჩიტების სიმღერა. ბალახებმა, ხეებმა მოიწყინეს. ირგვლივ სულიერმა ხმა გაკმინდა.

გოგონა გახევდა, მიხვდა თავის დანაშულს, დაიჩინება. ბართალი გაიქცა. მოიტანა უამრავი ნერგი ლამაზი ყვავილისა. დარგო. ყველა მიღიოდა მათთან, უვლიდა, რწყავდა, ეალერსებოდა, კოცნიდა.

გოგონა გახევდა, მიხვდა თავის დანაშულს,

გათენდა.

ფანჯრიდან ეზოს გავხედე და უნებურად შევყვირე: „თოვლი მოსულა!“ რატომძაც ძალიან მიხარია პირველი თოვლი, მიყვარს... განსაკუთრებით უჩვეულო განწყობას მიქმნის. გარშემო ენით აუნერელი სილამაზეა. თავი ზღაპრულ სამყაროში მგონია.

ხეებთან ერთად საოცრად ალიქმება თოვლის სილამაზე. თეთრ სამოსში მორთული ხეები ერთმანეთს ჩაუტებიან. სიმძიმით თავები დაუხრიათ. უხმოდ, დუმილით შეჰსარიან ერთმანეთს.

მიყვარს სპეტაკი თოვლი, სუფთა და კრიალა.

პირველი თოვლი ძალიან ლამაზია, ძალიან მშვენიერი!

თოვლი

გიორგი ხარაზიშვილი

მთები

– ცაში ვართ აზიდული – ამაყნი, ზვიადნი, ლამაზნი, ჩვენ ვინ შეგვედრება?

– ერთა ამათ დამიხედეთ, ამ ყოყოჩებს, ცხვრაბზეკილებს, გაბლენძილებს, ქედმალლებს! – გამოეპასუხნენ მცენარეები, ცხოველები თუ ფრინველები.

– არ ვიბლინძებით, სიმართლეს ვამბობთ, – თქვეს მთებმა.

– როგორიც თქვენ ხართ, ისეთივენი ვართ ჩვენც, – უპასუხეს ბალახებმა, ხეებმა, ცხოველებმა, ფრინველებმა. თქვენი თავი სხვებზე დიდად არ უნდა წარმოიდგინოთ, ყველანი ერთი ბუნების შვილები ვართ, ერთად ვალამაზებთ დედამინას.

– თქვენ მართალი ბრძანდებით, მოდი, შევრიგდეთ და, ამიერიდან, მეგობრები ვიყოთ, რა თქმა უნდა, თუ თქვენც თანახმა იქნებით, – შერცვათ და თავი დახარეს მთებმა.

– კარგი, თანახმა ვართ, მეგობრობას არაფერი სჯობს!

შერიგდნენ, ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. სიხარულით აბიბინდა ბალახი. ფერხულს უვლიდნენ ყველანი ერთად, დიდ მინდორზე.

მაგდა ქიტიაშვილი

დოდო ფრინველი

– რა ბოროტი, რა დაუნდობელი ხარ, ადამიანო!..

რატომ დაიწყეთ ჩვენზე ნადირობა? რატომ მოგვიღეთ ბოლო, გაგვანადგურეთ, ჩვენ ხომ არაფერი დაგვიშავებია თქვენთვის? ჩვენ ხომ უწყინარი ფრინველები ვიყავით? ახლა ნანობთ ჩვენს გადაშენებას, მაგრამ რაღას გვიშველით? ხომ არ განვახლდებით, აღვდგებით ფენიქსივით?

მე ის ბოლო, უცანასკნელი ფრინველი ვიყავი, რომელსაც თქვენ, შეუბრალებლად, ისარი შიგ გულში გამიყარეთ და გამომასალმეთ სიცოცხლეს! ჩემი ალისფერი სისხლი გადაეფრქვია მცენარეებს, ბალახებს...

თუ ასე გააგრძელებთ ბუნების განადგურებას, თქვენც სამუდამო განადგურდებით!

ფრთხილად, ადამიანებო!!!

გიორგი ქიტიაშვილი

მერცხალს

შემოდგომა დადგა და შენც დაგიმძიმდა გული მწარედ, მერცხალო, კუდმაკურატელა, სად მიფრინავ, რომელ მხარეს? ჩიტო, ლალო და ლამაზო, მოყვარე შენი ბუდისა, მთელი ოჯახით მიფრინავ, გამხარებელო გულისა!

ძნელია შენთვის სხვა მხარეს, სამშობლოდან შორს ცხოვრება, იმედი შინ დაბრუნების გულში გინთია ყოველ წამს! ჩიტსაც კი უყვარს თავისი სამშობლო, თქვენ რა დაგემართათ,

ქართველნო?!

ლერი ნოზაძე



ღებიური



ეთერ გონგლაძის სიყვარულით
სავსე ლექსები ისეთივე
მოკრძალებულია, როგორც თავად
ავტორი.

ამჟამად დიასახლისი, დიდ დროს
შვილებს და ოჯახს უთმობს.

„ის, რაც სიყვარულმა ლექსად
მანერინა, მხოლოდ ჩემი სულის...
სულის ნაურია...“

ეთერ გონგლაძე

* * *

შუალამე ფრთხილად მოდის,
ალბათ, გძინავს, მე კი – არა...
ვარსკვლავებით სავსე ზეცამ
თვალი თვალში გამიყარა.
საცეკვაოდ გამინვია,
თავი მდაბლად დამიხარა...
ვეღარც ჰო ვთქვი, ვეღარც – არა....
ეჭვიანმა მთვარემ ნისლი
ქუდ-ბედივით დამაფარა...
შუალამეც გაიპარა...
ვიცი, მოხვალ, მაგრამ როდის?!
ნლები მიდის... განა მოდის?..

* * *

სიყვარულია თავად ღმერთი, – გამიგონია,
ყრმობისას მოვა, თუ ზამთრის პირს – ეს სულ
ერთია...

რადგან ქვეყანა შენი გგონია...
და, ბავშვობიდან, ბრმად რომ მატარა,
იმ სიყვარულის ვერ გამიგია, –
ღმერთკაცი იყო, თუ თვით სატანა?!.
სანამ ჯერ კიდევ შემომრჩა რწმენა,
სანამ ჯერ კიდევ შემომრჩა სული,
მინდა მწამდეს, რაომ ამქვეყნად ჩემთვის
ოდენ საცდურად არ ხარ მოსული...
უშენოდ ყოფნა უცეცხლო დენთია,
სიყვარული კი, თავად, ღმერთია...

* * *

თოვს... ისე მშვიდად, ისე ლამაზად...
ცა ვარდისფერზე ოდნავ ბაცია,
გამომიტაცეს ფიფქებმა შენკენ,
ტანთ ტრფიალების ფლასი მაცვია.
თოვს... შარი-შურით მივყვები ბილიკს,
კვლავ ჰორიზონტან იყოფა გზები,
ლამე ფიფქივით მადნება ხელში,
და, ლამესავით, შენ მენატრები...

* * *
არ გიკითხო? – ვერ დავხუჭავ თვალებს,
რომ არ გითხრა, ვერ მომაგნებს ძილი,
შემოვიხვევ ფიქრით გამობარ საბანს
და სიზმრებში შენთან ერთად ვივლი...
შენთან ყოფნით გალადდება სული,
ამღერდება, განათდება მხარე
და, მტრედისფერ ჰორიზონტან ახლოს,
კვლავ პაემანს დამინიშავს მთვარე.
მენატრები, მენატრები ისე,
რომ არ გითხრა, ვერ დავხუჭავ თვალებს...


* * *

ანთებულ ჩირალდანივით
მიმზერდა თვალი მახვილი,
მზეს შენი სითბო მოჰქონდა,
ქარს – შენი გულის ძახილი...
გადავიშალე საკინძე,
გულისპირს მწვავდნენ ღილები,
სული დაგეძებს, გნატრულობს,
სულს მუდამ ესურვილები...

* * *

სუსხია, ჭირხლი დევს,
შენკენ მიხატავს გზებს,
მზის სხივებივით თბილი,
ნაზი სურნელი მდევს.
მოვალ და მოგხვევ ხელს –
თექის მძივივით მსუბუქს
და, მონატრებულს, ბევრჯერ
შემოგევლები ყელს...
ძველი გრძობებით სავსეს,
გეტყვი არ ახალს, ძველს:
მიყვარხარ, როგორც უწინ
და... ნუ გამიშვებ ხელს...

ახალი წევნი



„სამშობლოსმცოდნეობა“ – ასეთი
მრავლისმთქმელი სათაური აქვს
პროფესორ ვაჟა შუპითიძის ახალ
კრებულს, რომელიც გამომცემლობა
„უნივერსალმა“ დასტამბა.

ბ-ნი ვაჟას უაღრესად საინტერესო
ნაშრომებით, მართლაც რომ,
განებივრებულია ქართველი
მკითხველი. იგი 100-ზე მეტი
სამეცნიერო ნაშრომის ავტორი,
დავით ალმაშენებლისა და ნიკო
ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი გახდავთ.

ნინამდებარე კრებულში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის
ნარმოდგენილი და დოკუმენტური წყაროებით გამყარებული საქართველოს
ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფაქტები და მოვლენები, ეროვნული
სულისკვეთება და ცნობიერება, რომელიც ყველა ქართველმს უნდა
ჰქონდეს გააზრებული.

წიგნი ერთნაირად საინტერესოა ნებისმიერი სოციალური ფენის
მკითხველისათვის.

ადსანიშნავია, რომ კრებულმა დღის სინათლე ჩვენი თანამემამულის,
ქველმოქმედ პავლე ლაცაბიძის ფინანსური მხარდაჭერით იხილა.
სამწუხაროდ, ბ-ნი პავლე ამ ნაშრომის გამოცემამდე ერთი თვით ადრე
გარდაიცვალა.

„სამშობლოსმცოდნეობა“ დროული და აუცილებელი საჩუქარია ჩვენი
საზოგადოებისთვის.



ეგიპტი ნიველი

„თვალი გავს? – გავს, შუბლი გავს? – გავს, – ესე იგი, გავს!“

მრგვალი ქანდაკების ფუძემდებლად საქართველოში როდენის მოსწავლე – იაკობ ნიკოლაძე მოიაზრება. მანამდე, ვინმე – კათოლიკური აღმსარებლობის მოქანდაკეს შემოუტანია ეს სტილი. იგი ქობულეთთან, თურქების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში დაღუპულა. ამდენად, მისი ვინაობა ნაკლებად არის ცნობილი.

30 სექტემბერს, უდიდესი კულტურული მემკვიდრეობით გამორჩეული ქუთაისის შემოქმედებით სინამდვილეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა შეემატა, – ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში პოეტისა და საზოგადო მოღვაწის – ზურაბ კუხიანიძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი, მისი სახელობის ხეივანი და ქანდაკება გაიხსნა, რომლის ავტორი მამა-შვილი – აკაკი და გიორგი კიკვაძეები გახლავთ. ძეგლის გახსნის პატივი თქვენს მონა-მორჩილს ერგო, მწერალ ზაალ ებანოძესთან ერთად.

უკვე მე-5 ხეივანი ამშვენებს მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკს, რომელსაც დასვენებისა და, როგორც ამბობენ, თვალისთვის წყლის დალევის გარდა, შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ეს კი, პარკის დირექტორის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – გიზო თავაძის დიდი მონდომების შედეგია, რომლისთვისაც საზოგადოებისთვის სასახლებლო საქმის კეთების სურვილი და შესრულების ნიჭიც ერთნაირი მადლით მიუცია უფალს.

ბ-ნი გიზო მის ყველა რესურსს – თანამდებობრივს, მეგობრულსა თუ, უბრალოდ, მოქალაქეობრივს, საზოგადო და, განსაკუთრებით, მომავალი თაობისთვის მეტად საჭირო საქმეში დებდა და დებს ახლაც. მისი ინიციატივით, ზურაბ კუხიანიძის გარდა, მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში აკაკი წერეთლის, ოტია იოსელიანის, რეზო ჭეშვილისა და ცისფერყანწელთა ქანდაკები დაიდგა.

ნლების განმავლობაში გამოიცა არაერთი მწერლის და მისი თანამოაზრების პარკი მონესრიგდა და, ერთდროულად, დასვენებისა და შემეცნების ალაგად იქცა. თანამოაზრებში კი, მეგობრებთან ერთად, ქალაქის ხელმძღვანელობა მოიაზრება, რომელიც ხელს უწყობს, უპირველესად, საკუთარი ქალაქისა და კუთხის კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებასა და მოვლას. ბ-ნი გიზო იმედოვნებს, რომ ზემოთ ხსენებული კორიფეების გარდა, გალაქტიონის მონუმენტიც დამშვენებს მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკს.

გიორგი კიკვაძე ახალგაზრდა, მაგრამ უკვე დიდი შემოქმედებითი გამოცდილების მქონე, კონკურსებში გამარჯვებული მოქანდაკეა, რომლის პროფესიული არჩევანი მისი ოჯახისა და გარემოცვის გარძელებაა. მამა – ცნობილი მოქანდაკე, ბ-ნი აკაკი კიკვაძე გახლავთ. გიორგის ბავშვობამ ქუთაისის ერთ უბანში თავმოყრილი ისეთი მხატვრების ხელში გაიარა, როგორებიც არიან: მიხეილ და არჩილ ჩოგოვაძეები, ზურაბ წითაშვილი, ბერნარდ ნებიერიძე, გურამ კვიმსაძე, უორა ჩხეტიანი, ვაჟა ალავიძე, ანტონიო და ირაკლი ჩოგოვაძეები.


გიორგი კიკვაძის მიერ ბრინჯაოში გაცოცხლებული იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლის, ტიციანისა და პაოლოს, იპოლიტე ხვიჩიასა და ზვიად გამსახურდის ქანდაკებები ქუთაისის სხვადასხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს ამშვენებს.

გიორგი მშვენივრად მღერის და მიაჩნია, რომ სმენა და სიმღერის ნიჭი მოქანდაკეს ბევრ რამეში ეხმარება.

„მოულოდნელად მოსული კომპოზიცია შეიძლება 2-3 თვე ტრიალებდეს გონიერაში, სადაც თანდათანობით იხვეწება და როულგზას გადის, ე. წ. კარკასიდან ბრინჯაოს ყალიბამდე. მხოლოდ გარევნული მსგავსება არაფერს ნიშნავს, თუ შინაგანი განწყობა და კონკრეტული პიროვნებისათვის დამახასიათებელი, თუნდაც, პატარა დეტალი არ იკვეთება ქანდაკებაში. ანატომიურ ცოდნასთან ერთად გემოვნება, ნიჭი და საკუთარ თავზე მუშაობა იძლევა ისეთ შედეგს, რომელსაც სკულპტურული ხელოვნება ჰქვია“ – ამბობს გიორგი კიკვაძე.

„თვალი გავს? – გავს, შუბლი გავს? – გავს. ესე იგი, გავს!“

ეკა ბაქრაძე



ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის დირექტორი, მწერალი გიზო თავაძე ზურაბ კუხიანიძის ძეგლთან

რჩეული კრებულიც. ბ-ნი გიზოს და მისი თანამოაზრების მონდომებით, ერთ დროს გავერანებული და არცთუ კარგი რეპუტაციის პარკი მონესრიგდა და, ერთდროულად, დასვენებისა და შემეცნების ალაგად იქცა. თანამოაზრებში კი, მეგობრებთან ერთად, ქალაქის ხელმძღვანელობა მოიაზრება, რომელიც ხელს უწყობს, უპირველესად, საკუთარი ქალაქისა და კუთხის კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებასა და მოვლას. ბ-ნი გიზო იმედოვნებს, რომ ზემოთ ხსენებული კორიფეების გარდა, გალაქტიონის მონუმენტიც დამშვენებს მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკს.



მოქანდაკე გიორგი კიკვაძე

ბიჭები

საულვაშეზე გაუჩინდებათ ღინდლი და მალე

საიალალოდ გაიწევენ, როგორც ხარები...

დედის ნაფერებ, ნაალერსებ ცეცხლიან თვალებს

სხვისი უბისკენ გააპარებენ!..

გალალდებიან და სხეულში იფეთქებს ჯიში, თითქოსდა, მართლაც უნახესო მათ გასაღები, მამისგან ნასწავლ სადლეგრძელოს ტოლებთან, ლხინში, თავის ნათქვამად გაასაღებენ.

არ იკითხავენ, რა ანუხებს, რა ულხინს ოჯახს, მათი გაფრენით ვინ იხარა, ან ვინ ეწამა...

დაიკოს ნატიფ, თეთრ ხელებით დავარცხნილ ქოჩორს სხვას მიუშვერენ გასაწენავად.

ნათელ ნაკვალევს დაუტოვებს სახეზე წლები, თუმცა, თვალები არასოდეს არ ხუნდებიან...

და, ბოლოს, მაინც, ნაომარნი, დალლილნი გზებით, მშობელ კერასთან დაბრუნდებიან...

აღარ დახვდებათ აღარც დედა და აღარც მამა და ბალდებივით ყრუ ქვითინი აუვარდებათ,

მაგრამ დაგმანულ, ცივ ფანჯრებზე, შხამად თუ წამლად, იკანკალებენ შავი ფარდები...

მხრებს ჩამოყრიან, როგორც ქარით დალენილ რტოებს, დანამულ თვალებს შეავლებენ ეზოს ცირცელებს...

ისევ იტყვიან მამის ნათქვამ სადლეგრძელოებს

და დედას ისევ ცოცხალივით დაიფიცებენ...

სათქმელი ქვეყნად

სათქმელი ქვეყნად თავის გზას ეძებს,

თან მისდევს დამფრთხალ სულის განგაში,

ჩვენში სამშობლოს საქებარ ლექსებს

ნახავთ ყოველი მწყემსის აბგაში.

დამიმშვიდდება გული და სუნთქვა,

როდესაც სიტყვა ბუდეს იპოვნის,

ქართველ კაცს, როგორც პაერი სუფთა,

ყოველდღე უნდა კარგი სტრიქონი.

სათქმელი ეძებს ხსნასა და იმედს,

დაფინის ტოტებში სძინავს გვირგვინებს...

კარგია, როცა ჩაგვივლის ვინმე

და შენს სტრიქონებს ჩაიღილინებს!..



ხომის სეული



დავით არახამია – სამი კრებულის ავტორი, თანამედროვე ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური ესეს თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლავთ, რომლის მხატვრული, ღრმა და ემოციური პაროქსიზმებითა და ინდივიდუალური ხელნერით გამორჩეული შემოქმედება გულგრილად არ ტოვებს მკითხველს.

უფალო ჩემო

იფერფლება უკვდავების ცხადი ზმანება... ფრთა უყვითლდება განშილებულ, უძირო დარდსაცავს და, ფიქრებით დაღლილს, დუმილით მიმაცილებს ციურ მანათობლის ნელი შრიალი ხსოვნის ჩრდილებში.

რამ გადაბინდა ცის გახსნისას ნაზ ჩრდილებად ბორცვი, ჭალაქი, ან რამ არია ეს პეზაჟი – მდუმარე ველთა სიმშვირის? – ასე მოთმინებით რომ შეჰყურებენ ფოთლოვანში ჩაყუდებულ, შუბლშეკრულ მზეს. ღვთიურ ხმების ტევრში მოლოდინით გაკენკილ თაღქვეშ, ღორლიანი დღეების წამნამებზე დაკიდულ ცრემლის უდირიშორო ორკესტრი უკრავს, სულში რომ დაუდევს ბინა.

ეს რა ხმები ჩამოდის ციდან, რად იგვიანებს სიმშვიდე სულის, რატომ ვერ ჩაქრა ცოდვების ცეცხლი?! ნუთუ მოდგა მიმწერის დღე და ფოთოლცვენამ გადაიარა ნატერფალებზე? იქით ვინ ჩეამობს, ვინ მოაბიჯებს? მრისხანების კედლიდან შიშის მდინარე უონავს!.. დუმს ჰორიზონტი... უმანკო სახეზე მიტკლის სიფითრემ გადამირბინა.

ვინ დააფრქვია ამდენი მადლი, ამდენი ეშნი ვინდააგროვა? გულისთქმა ღელავს...

ვუხმობ სიმშვიდეს და ვაღებ სარკმელს. თვალი ცისკენ გამირბის. დროის სამრეკლის აცხრება მნათე, ნათელი აწვიმს საოცრებებს – ხსოვნაში მიმწვარს.

საკვირველების შემქმნელო ღმერთო, რამ დაადინა ამდენი სხივი ზღვასა და ხმელეთს?

ხედავ, როგორ განათდა, როგორ ბრწყინავს ეს ცა და მიწა! როგორ მოსჩერფს ნაზ ფერთა ღელე იმ ქედებიდან? რა შეედრება წინაპართ სისხლით გადარეცხილ მწვანე ველებზე სურნელს მიწისას, სევდად რომ სდევს წამება სულის. ხედავ? შორს, წეროები როგორ მიირწევიან, როგორ შლიან ფრთებს ღურჯი ტყეები?

უფალო ჩემო, დასაბამიდან ამ მზის და მიწის ბატონ-პატრონი შენ ხარ! გთხოვ, დამრთო ნება, მაღალ რწმენით და სავსე ნათელით ვემთხვიო მიწას, რომ შენი ბრწყინვალებით ძვალთშესალაგში სიხარულის მაჯამ მომწმინდოს ცრემლი...

დაცურდა ცრემლი

არ მასვენებს ფიქრის სარკმლიდან მზირალი, შეშლილი წუთი. საკუთარ სხეულზე მდგარ ფიქრის ტკივილზე ბოლთას სცემს დარდი სულში. ღელ-ღამესავით მეცვლება ტკბილი და მწარე. დიდხანს მქონდა გული საგულედან ამოვარდნილი...

ზეცის უსაზღვროებაში, ცისა და მიწის მეზობლად მყოფი, ბევრჯერ მონაქროლი ქარი გამოჩინდა. მოათრებს ნალველს. გონების თვალწინ ჩაიბაჯბაჯა წლების გადაღმა გაჭერებულმა ბავშვობამ. ფერი მეცვალა ღიმილდანთებულ, სათონ სახეზე. დუმილის ძელზე თავმიყრდნობილს, მაჯას მისინჯავს მიტოვებული ხელჯოხის ჭიხვინი. ყრმობის ცაზე ნაფრენი, წრფელი ცრემლის ჰანგი აკვენებდა. საკუთარი ხმის ექოს მიყურადებულს, დამეუფლა შიში, საშოდან სამარემდე გაბმული...

ზეციერს ვავედრებ, მოთმინების დილაბანდზე ფთილა-ფთილა გაიფურჩნოს ღრუბელი. მირიად აჩრდილთა შორის, ბინდუნდის ალანდულ სტრიქონში გადავრგე ხორცის ჯებირგადალახული ცრემლი... მკედარი მზის ამბორზე თრთის და ირჩევა ზეცის კენწერო. გულნატკენი სვე აფრიალებს დაძნილ ტრაურს... გარდასულმა დროებმა წარიტაცეს გული, განაწონი. დარეკა უამმა, ჯავრის მჭვრეტელმა. შუბლის გაწყვეტილ ძარღვის გაჭიმულ ლარზე საკუთარ თავთან შევდექი! სხეულში ღრიალით ჩაბრუნებული ბეგერების წარღვნაში, ბედნიერების საბალახოზე, ეჭვით გაპობილი ფუტურო სხეული შემრჩა. ბებერი

დვლების ხუცულას მომდგარი სიძაბუნის გაგება მიჭირს... ვუზივარ ნალვლიანი სპექტაკლის დეკორაციით დამშვენებულ ღამეს და ვუმზერ ღველფიდან ამოცურებულ, სინანულით გამთბარ სიცოცხლის ღუმელს.

ვუსმენ უფსკრულებში ჩაყლაპულ მთვარის სიმების წკარუნს. ამ ვნების დუღილს არ ცვლის სხვა ვნება. გულში ჩაწნული უტყვი ზმანება ქაოსის ლაბირინთს გაჰკივის, ელამი უკუნის გახსნილი საკინძის ალით. უმოქმედობის ბექობს იპყრობს სისასტიკე...

ვეძებ საკუთარი სხეულის ღია კაშში შესვლის მიზეზს. ვის, რად უნდა, იქ, ჩემი სტუმრობა? ფიქრში, ოცნების გადამკიდე, საათობით დავიკარგე, მომავალის ჩრდილს ადევნებული, სხეულიდან გამოდევნილი, აზმუვლებული სული... სანამ მე კისერს ვიმტკრევ, სატკივრის ვულკანამოხეთქილი, სამარტვილო ხვეწნა მშვენიერების ცას მიემატა.

უამის უსაზღვრო ოკეანეში, სისხლის ბილიკს გაცყოლილი სიცარიელე ჩემი სხეულის სიჩუმეში ღალობს. გლოვის ტაბლაზე მარილნალკი დუმილის ცათამბრჯენი ჩამოინგრა, დაბერდა უღვთოდ. დაგმანულ სიმყუდროვეში ხეირიანად მოფერებაც ვერ მოვასწარი... ბაცი სიზმრის პირშავ ამბორში ღვარძლის ფლოქვი განმიმარტოვდა. ცრემლის ბინულის სვეგანნირული, ეული ხვეწმა მოგონებების ცისფერ კარავს აწმყდან დამშეული მზერით ნამავს. ცივ ნასიმწარში გაცვეთილ ფიქრს მოწყურებული კვნესა ბლუჯა-ბლუჯა აპნევს შუქს. ტუჩმობრეცილ, გაურკვევლობის ბექობის ქიმზე გაშოლტილა ნასხვისარი ცის ორეული. ფიქრის როდინში დანაყულ ღამეს თავს დაჰჭარფატებს მეხსიერების მწვანე მინდორი, გამორიყული სხეულის ტკივილით.

თვალხილულ ბრმებით ავსებულ ცისქვეშეთში სიმწრის სიწრფელის ბედს სიცოცხლე სისხლივით დადინდა. ტლაპონაფარც აურზაურის სხივმა მიმოცრა უამი. ვნების იახტის რწევის ექონაწკეპლი ნექტარი წუნქმა საწუთორომ ცად აღავლინა.

სამარადუამო მორჩილების წყალგამყოფთა ნაოჭებზე ტბორჩამდგარ, ქორფა ნატერფლის გუგიდან დაცურდა ცრემლი...

არ განილევა ეს დაფიქრება

ამენთო ფიქრი... ვშფოთავ, გულისთქმას ვეღარ ვერევი, ვერ განვერიდე სოფლის ტკბილ-მწარეს. შუბლზე მდის სიმწრის ოფლი და წუთებს ფუჭი ოცნებით ვნაყავ. ყოვლად უმწეო სულს უნდა მოვლა, – ვერ მოვიცალე... თავის გზით მიდის ყოველივე.

არ განილევა ეს დაფიქრება ხმამაღალი მიმწერის მზეში. კვლავ იფარფატებს ქუფრუელი ხმა ამ წარმავალი უამის ამარა, გადაკორტნილ ველების თავზე. ვბორგავთ მე და ჩემი ბეჩავი ღანდი, ქანცგანწყვეტილი, გადაუხდელ ბრძოლების გამო, უძლებელ დროის ქილიკს და ხევდრზე კვნესის უამი სინანულის...

იღბლის მთვლემარე გზებზე ფეთქდება დუმილის ჭურვი! თავზე ვიდგამ მორჩილების გვირგვინს და წამნამებზე დაკიდულ თვალების წვენით ვნამავ მიწას. მეხთატეხა გვემის სიმებს აუღერებს არყოფნის მზეში. ოხრავს ცა... ვიზიარებ ცის წუხილს. ცივი იღუმალებით ამეჯაგრა შუადღე, გავხედე შორეთს განმოლილ სივრცეს, გაწილებული მოლოდინით.

არ ვიცი, რა ვქნა, მიწაზე აღარ მედგომება... რით ვანუგეში აღერთი თავი? დარჩენილ დღეებზე ვდარდობ, იცვლება ბედის ამინდები, ცაში გადაიშალნენ ჩემი ფიქრები და მის ქონგურებზე ვანიავებ სუნთქვის სიოთა დასიცხულ სევდას.

თითქოს სხვა სამყაროდან მოვსულვარ... ჯავრის ტრიალ მინდორზე აალდა გონების მწვანე კოცონი, სიმწვანის გვირგვინით იმოსება ფიქრების მთები – წუთისოფლის მწუხარ გზებზე შემდგარი. ჩემს ჭალა-მინდვრებს მიშტერებია სხვისი თვალები, ჩემი ტკივილი. ტკივილში კრთის ნეტარება, ქუს მრისხანების ალავერდი. დღევანდელ ჭირის ავდარს შეცვლის ხვალინი მართლის დარი.

რისხვაში ვეძებ სიმშვიდეს, სიმშვიდეში – რისხვას. ვერ ვუზავდები, გულისთქმას ვეღარ ვერევი, ვერ განვერიდე სოფლის ტკბილ-მწარეს. ყოვლად უმწეო სულს უნდა მოვლა, – ვერ მოვიცალე...

საცაა გაბრიელი მომიკაუნებს... გამოვისურავ სინათლის სარკმელს. თავადვე უნდა ვიზრუნო საკუთარ თავზე. სულს ვანდობ ზეცას, ხორცს მივაპარებ ცოდვებით სავსე მიწას. აქ კი დამრჩება ცრემლი და სიყვარული...